KA

ბროშურები კლიენტებისთვის დუგდ-ში

/დაკავებულ უცხოელთა განთავსების დაწესებულებაში/

Co-funded by the European Union

Consortium of Migrants Assisting Organizations

SDRUŽENÍ ASSOCIATION PRO INTEGRACI FOR INTEGRATION A MIGRACI AND MIGRATION

organization for aid to refugees



- რაღა, ბრნო: ჩეხეთის რესპუბლიკის დიდი ქალაქები
- მიმღები ცენტრი: პრაღის აეროპორტი – რუზინე, ზასტავკა
- დაკავებულ უცხოელთა განთავსების დაწესებულება: ბალკოვა, ბელა – იეზოვა, ვიშნი ლჰოტი
- დაბინავების ცენტრი: ბელა-იეზოვა, კოსტელეც ნად ორლიცი, ზასტავკა, ჰავირჟოვი

რა არის დაკავებულ უცხოელთა განთავსების დაწესებულება?

- ასევე ეწოდება დეტენცია ან „დაჭერა“, შემოკლებით დუგდ (ZZC).
- საუბარია დახურული ტიპის დაწესებულებაზე, რომლის დატოვების უფლება უცხოელს არა აქვს.
- ამ დაწესებულებაში უცხოელთა საკითხების პოლიცია ან შინაგან საქმეთა სამინისტრო მოათავსებს უცხოელს, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება ან შემოვა კანონის დარღვევით (მაგ. პასპორტის ან ვიზის გარეშე).

რამდენი ხანი შეიძლება იყოთ დაკავებული?

- არ შეიძლება დაკავებული იყოთ 180 დღეზე მეტი ხნით. გამონაკლის შემთხვევებში, პოლიციას შეუძლია ეს ვადა გაზარდოს 545 დღემდე.
- ოჯახს, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, არ შეუძლია დაწესებულებაში იყოს 90 დღეზე მეტი ხნით.
- ამ დროის განმავლობაში, პოლიცია ატარებს პროცედურებს თქვენი დეპორტაციის ან სხვა ქვეყნისათვის გადაცემის მიზნით.

განაცხადი საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ დუგდ-ში

- თქვენი დაკავებიდან 7 დღის ვადაში შეგიძლიათ მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვის მინიჭება (იგივე თავშესაფარი, აზილი).
- ამ შესაძლებლობის შესახებ თქვენ უნდა მიიღოთ განმარტება უცხოელთა საკითხების პოლიციის მიერ.
- საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ განაცხადის შეტანა თქვენ არ გაძლევთ უფლებას, რომ დატოვოთ დაწესებულება. თქვენი განაცხადის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო წამოიწყებს დამოუკიდებელ საქმისწარმოებას (დეტალები იხილეთ ქვმოთ).



დაკავება

7 დღე
საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ განცხადების შეტანის შესაძლებლობა

90 დღე
მაქსიმალური ვადა ოჯახებისა და არასრულწლოვანი უცხოელებისათვის

დაბრუნება / გადაცემა

180 დღე
მაქსიმალური ვადა სრულწლოვანი უცხოელებისათვის

დაკავების ვადის შესაძლო გახანგრძლივება

545 დღე

რატომ იმყოფებითთთ აქ?

- **უნდა მოხდეს თქვენი დეპორტაცია სამშობლოში**
- **უნდა მოხდეს თქვენი გადაცემა ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნისთვის დუბლინის შეთანხმების თანახმად**
- **უნდა მოხდეს თქვენი გადაცემა რეადმისიის შეთანხმების საფუძველზე**
- **თქვენ ჩამოხვედით ჩეხეთის რესპუბლიკაში საბუთებისა და ვიზის გარეშე**
- **თქვენ მუშაობდით სამუშაო ნებართვის გარეშე**
- **თქვენ წარმოადგენთ საფრთხეს ჩეხეთის რესპუბლიკისთვის**
- **თქვენ იმყოფებოდით ჩეხეთის რესპუბლიკაში საბუთებისა და ვიზის გარეშე**

რა არის მიმღები ცენტრი?

- მიმღები ცენტრი არის დაწესებულება, რომელიც განკუთვნილია საერთაშორისო დაცვის (თავშესაფრის) მომთხოვნი ახლად ჩამოსული პირების მოთავსებისათვის, თავდაპირველი პროცედურების დასრულებამდე, როგორებიცაა მაგალითად, პირადობის გადამოწმება, თითების ანაბეჭდების აღება, პირველადი გასაუბრება და სოციალური გამოკვლევა, სამედიცინო გამოკვლევა.
- შეუძლებელია მიმღები ცენტრის თავისუფლად დატოვება თავდაპირველი პროცედურების დასრულებამდე.
- მიმღებ ცენტრში თქვენთვის უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, საკვები, ჰიგიენის ძირითადი საჭიროებები და სამედიცინო დახმარება. საერთაშორისო დაცვის მინიჭების მომთხოვნ პირებს აქ აქვთ წვდომა სოციალურ და ფსიქოლოგიურ სერვისებზე და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თავისუფალი დროის გასატარებელ აქტივობებში, ეწვიონ ხელოვნების სახელოსნოებს და ა.შ.

რა არის დაბინავების ცენტრი?

- დაბინავების ცენტრი არის დაწესებულება, სადაც ხდება იმ საერთაშორისო დაცვის მინიჭების მომთხოვნი პირების დაბინავება, რომლებმაც მიმღებ ცენტრში უკვე გაიარეს განსაზღვრული თავდაპირველი პროცედურები, იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ გრძელდება საქმისწარმოება, რომელიც ეხება მათ განაცხადს საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ.
- განმცხადებელ პირებს შეუძლიათ დაბინავების ცენტრის თავისუფლად დატოვება. მათ ასევე შეუძლიათ გადავიდნენ ცალკე, კერძო საცხოვრებელში.
- გაწეული მომსახურება იგივეა, რაც მიმღებ ცენტრში.

რა არის?

საერთაშორისო დაცვა

საერთაშორისო დაცვა ენიჭება უცხოელებს, რომლებიც იმყოფებიან ჩეხეთის რესპუბლიკაში და რომლებისთვისაც უსაფრთხო არ იქნება სამშობლოში დაბრუნება. მაგალითად, მათ ქვეყანაში ომია ან პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის საფრთხის წინაშე დგანან.

არსებობს საერთაშორისო დაცვის ორი ტიპი: თავშესაფარი (დროში შეუზღუდავი) და დამატებითი დაცვა (დროში შეზღუდული, გაგრძელების შესაძლებლობით).

საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. თუ თქვენ მოითხოვთ საერთაშორისო დაცვის მინიჭებას, შინაგან საქმეთა სამინისტრო თქვენთან ჩაატარებს რამდენიმე გასაუბრებას თარჯიმნის თანდასწრებით. იგი შეისწავლის მიზეზებს, თუ რატომ დატოვეთ თქვენი სამშობლო და შეგიძლიათ თუ არა უსაფრთხოდ დაბრუნდეთ თქვენს სამშობლოში. სამინისტრო ასევე მოიძიებს ინფორმაციას თქვენი სამშობლოს შესახებ. სამინისტროს შეგიძლიათ შესთავაზოთ, რომ გაითვალისწინოს კონკრეტული ჩვენებები და მტკიცებულებები. თქვენ ასევე გაქვთ უფლება განიხილოთ თქვენი საქმე იურისტებთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან (UNHCR).

შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია 6 თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ. გამონაკლის შემთხვევებში, გადაწყვეტილების მიღების ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეიტანოთ სარჩელი უარყოფითი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. თუ სარჩელს არ შეიტანთ, ვალდებული ხართ დატოვოთ ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორია.

ადმინისტრაციული გაძევება (დეპორტაცია)

ეს არის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც თქვენ უნდა დატოვოთ ევროკავშირის ტერიტორია. ამავდროულად, პოლიცია დაგიწესებთ შემოსვლის აკრძალვის ვადას, რომლის განმავლობაშიც თქვენ გეკრძალებათ ევროკავშირში შემოსვლა.

თქვენ შეგიძლიათ გააპროტესტოთ გადაწყვეტილება შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

გაპროტესტებაზე უარის მიღების შემთხვევაში, შეგიძლიათ შეიტანოთ სარჩელი.

ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა, როგორც წესი, ნახევარი წლიდან 10 წლამდე მერყეობს. თუ ნებაყოფლობით გაემგზავრებით, შეგიძლიათ მოითხოვოთ შემოსვლის აკრძალვის ვადის შემცირება.

გადაწყვეტილება გადაცემის შესახებ (დუბლინი, რეადმისია)

გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში ან იმ სხვა სახელმწიფოში გადაცემის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე თქვენი განაცხადის შეფასებაზე დუბლინის ბრძანების საფუძველზე. მაგალითად, თუ თქვენ თავშესაფრის მინიჭების შესახებ განაცხადი შეიტანეთ რუმინეთში ან ბულგარეთში, სამინისტრო გადაწყვეტს თქვენს გადაცემას ამ ქვეყანაში.

გადაწყვეტილება ტერიტორიის დატოვების ვალდებულების შესახებ

საუბარია გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც თქვენ უნდა დატოვოთ ევროკავშირი. თუმცა, იგი არ მოიცავს შემოსვლის აკრძალვას, როგორც ეს ადმინისტრაციული გაძევების შემთხვევაშია. თქვენს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, შეგიძლიათ დაუყოვნებლივ მოითხოვოთ ნებისმიერი ტიპის ვიზის აღება ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში.

რა არის?

გამგზავრების ბრძანება

გამგზავრების ბრძანებას თქვენს სახელზე გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო ან პოლიცია. გამგზავრების ბრძანება თქვენ გაძლევთ უფლებას, დარჩეთ ტერიტორიაზე ლეგალურად იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია ტერიტორიის დასატოვებლად საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად (მაგ. ბილეთის შეძენა).

ეს ვადა არ შეიძლება იყოს 60 დღეზე მეტი და შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ტერიტორიაზე დარჩენის ვადას განსაზღვრავს და გამგზავრების ბრძანებაში მიუთითებს პოლიცია ან შინაგან საქმეთა სამინისტრო. თუკი ამ ვადას გადააცილებთ, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ უკვე იმყოფებით ჩეხეთის რესპუბლიკაში არალეგალურად.

ნებაყოფლობითი დაბრუნება

ნიშნავს ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას დაბრუნდეთ იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ხართ ან სხვა სახელმწიფოში, რომელიც საშუალებას მოგცემთ შეხვიდეთ მის ტერიტორიაზე.

თუ გადაწყვეტთ ნებაყოფლობით დაბრუნების შესაძლებლობის გამოყენებას, შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაიხდის თქვენი მგზავრობის ხარჯების ნახევარს (ბილეთი, ავიაბილეთი). ნებაყოფლობითი დაბრუნების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ უცხოელთა საკითხების პოლიციას ადმინისტრაციული გაძევების შესახებ გადაწყვეტილებით თქვენთვის დაწესებული შემოსვლის აკრძალვის ვადის შემცირება.

დუგდ-ს რეგულარულად სტუმრობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც გაცნობებენ ამ შესაძლებლობის შესახებ. დამატებით ინფორმაციას ასევე მოგაწვდიან იურისტი ან სოციალური მუშაკი.

დაბრუნების შემდეგ მოგიწევთ სამინისტროს აუნაზღაუროთ მგზავრობის ხარჯების მეორე ნახევარი. თუ ამ ხარჯებს არ გადაიხდით, მომავალში შეიძლება პრობლემები შეგექმნათ ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით ჩეხეთის რესპუბლიკაში შემოსასვლელად.

გადაწყვეტილება დაკავების შესახებ

უცხოელთა საკითხების პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება, დაკავებულ უცხოელთა განთავსების დაწესებულებაში თქვენი მოთავსების შესახებ. დაკავების შესახებ გადაწყვეტილებაში პოლიცია ან შინაგან საქმეთა სამინისტრო აგიხსნით, თუ რატომ მოგათავსათ ამ დახურულ დაწესებულებაში. ასევე აგიხსნით, თუ რომელი კანონის მიხედვით და რამდენი ხნით დაგაკავათ. უცხოელთა საკითხების პოლიციას ან შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლია რამდენჯერმე გაახანგრძლივოს თქვენი დაკავების ვადა, მაქსიმალურ დასაშვებ ვადამდე (180 დღე).

დაკავების შესხებ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის გაქვთ 15 დღე. სარჩელის შედგენაში თქვენ დაგეხმარებათ იურისტი. საჩივრის შეტანა ვერ გაახანგრძლივებს თქვენს ყოფნას დუგდ-ში. თქვენი დაკავების თაობაზე შემდგომში გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებელი სასამართლო.

! თუკი სასამართლო გადაწყვეტს, რომ თქვენი დაკავება უკანონოა, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს თქვენი განთავისუფლება. თქვენ ასევე გაქვთ უფლება მოითხოვოთ კომპენსაცია პირადი თავისუფლების უკანონო შეზღუდვისთვის.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა თავიდან ავიცილოთ დუგდ-ში მოხვედრა:

1. ხშირად შეამოწმეთ თქვენი პასპორტის, ბინადრობის ნებართვის ან ვიზის მოქმედების ვადა. ვადის გასვლამდე დროულად შეიტანეთ განაცხადი მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

2. დროულად მოაგვარეთ უარყოფით გადაწყვეტილებებთან, გამგზავრების ბრძანებასთან ან ადმინისტრაციულ დეპორტაციასთან დაკავშირებული საკითხები. როდესაც მიიღებთ წერილს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, უცხოელთა საკითხების პოლიციისგან ან სხვა ორგანოებისგან, რაც შეიძლება სწრაფად დანიშნეთ შეხვედრა იურიდიული კონსულტაციის მიზნით.

3. ნუ იმუშავებთ სამუშაო ხელშეკრულებისა და სამუშაო ნებართვის გარეშე.

4. არ ითანამშრომლოთ საეჭვო სააგენტოებთან ან პირებთან, რომლებიც გპირდებიან საბუთების მოგვარებას მაღალი თანხების სანაცვლოდ. არასდროს მიიღოთ და არ გამოიყენოთ ყალბი დოკუმენტები (!).

5. ყოველთვის თან იქონიეთ ჩეხეთის რესპუბლიკაში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ვის შეხვდებით დუგდ-ში?

სოციალურ თანამშრომელს

იგი მოგაწვდით ძირითად ინფორმაციას დაწესებულების, თქვენი უფლებებისა და თქვენი მდგომარეობის შესახებ დუგდ-ში. ის უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

იგი დაგეხმარებათ საყიდლებში, სამრეცხაოში, ძირითად ჰიგიენურ საჭიროებებში (მენსტრუალური საჭიროებების ჩათვლით) ან მენიუს შეცვლაში.

იგი დაგეხმარებათ, თუ რამე პრობლემა გექნებათ და რამე დაგჭირდებათ.

იგი დაგეხმარებათ თარჯიმნის, სამედიცინო და იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფაში.

იგი დაგეხმარებათ დუგდ-ში ბინადრობის დასრულების პროცედურებში (დაბინავების ცენტრში გადაყვანის დროს, იმ სხვა ქვეყანაში გადასვლის დროს, რომელიც პასუხისმგებელია თავშესაფრის მინიჭების შესახებ თქვენი განაცხადის შეფასებაზე ან სამშობლოში დასაბრუნებლად მზადების დროს).

ვის შეხვდებით დუგდ-ში?

იურისტს

იგი მოგაწვდით ძირითად ინფორმაციას იმ პროცესის შესახებ, რომელიც გეხებათ თქვენ, თქვენს უფლებებს და თქვენს მდგომარეობას დუგდ-ში. ის უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

იგი აგიხსნით სიტუაციას და დაგეხმარებათ საჩივრის ან სარჩელის მომზადებასა და შეტანაში ადმინისტრაციულ დეპორტაციასთან დაკავშირებით, ტერიტორიის დატოვების ვალდებულების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უარყოფით გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო დაცვის მინიჭების საქმეზე ან დუგდ-ში დაკავების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

იურისტს შეუძლია მოითხოვოს წვდომა თქვენს სამედიცინო ჩანაწერებზე. თუკი თქვენს მობილურ ტელეფონში გაქვთ თქვენი საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, იურისტს შეუძლია მოითხოვოს, რომ თქვენ ერთჯერადად მოგცენ ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა

! იურიდიული დახმარება უფასოა და ხელმისაწვდომია ასევე თარჯიმანი

იურისტი ვალდებულია დაიცვას დუმილის ვალდებულება

კიდევ ვის შეხვდებით დუგდ-ში?

ნონ-სტოპ (Nonstop) სერვისს
დახმარება გადაუდებელ სიტუაციაში 24 საათის განმავლობაში.

ექიმს / ექთანს, მედდას
დაგეხმარებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებში.

პირადი უსაფრთხოების სამსახურს
პასუხისმგებელია თქვენს უსაფრთხოებაზე დუგდ-ში.

პედაგოგს / მასწავლებელს
ის შემოგთავაზებთ თავისუფალი დროის გასატარებელ აქტივობებს, დაეხმარება ბავშვებს სწავლაში.

ფსიქოლოგს
დაგეხმარებათ, თუკი გექნებათ სურვილი ვინმესთან ისაუბროთ თქვენს პრობლემებზე.



თმპდ (OAMP)
ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თავშესაფრისა და მიგრაციის პოლიტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებს.

დამბინავებელს
მოგაწვდით თეთრეულს ან ჰიგიენურ საშუალებებს, დაგეხმარებათ რეცხვაში.

დამხმარე პერსონალს
მზარეული, შემკეთებელი.

პოლიციას
უცხოელთა საკითხების პოლიციის თანამშრომლებს.

რას გთავაზობთ?

დაბინავებას

კვებას 3-ჯერ დღეში

(ბავშვებს 5-ჯერ დღეში), დაწესებულებაში შესვლისას მენიუს არჩევის შესაძლებლობით.

ბავშვების განათლებას

ჩეხური ენის შესწავლაზე აქცენტით

თავისუფალი დროის გასატარებელ აქტივობებს

(ოთახი, სადაც დგას ტელევიზორი, ხელოვნების საამქრო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და ა.შ.)

გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას

ინტერნეტს

ტელეფონის ავტომატებს

ჰიგიენურ საშუალებებს

(საფენებს, ტამპონებს, საპარსებს)

სოციალურ სამსახურს

უფასო იურიდიულ დახმარებას

რისი გაკეთება შეგიძლიათ ან არ შეგიძლიათ დუგდ-ში?

არ შეგიძლიათ დუგდ-ს დატოვება პოლიციის თანხმობის გარეშე.

გაგებით უნდა მოეკიდოთ თქვენი უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვას (მაგ. თავისუფალი გადაადგილების ან პირადი სივრცის შეზღუდვა).

დუგდ-ში შესვლისას უნდა ჩააბაროთ მობილური ტელეფონი, ფული და საკრედიტო ბარათები.

თქვენ გაქვთ უფლება ერთხელ განახორციელოთ სატელეფონო ზარი 3 წუთის ხანგრძლივობით.

თქვენ გაქვთ უფლება თქვენი ტელეფონიდან ამოიწეროთ სასურველი ნომრები.

ზარების განსახორციელებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სატელეფონო ავტომატები.

დუგდ იყოფა 2 ნაწილად – ნაწილი ზომიერი რეჟიმით და ნაწილი მკაცრი რეჟიმით.

თუ თქვენ ხართ აგრესიული და არ იცავთ დუგდ-ს წესებს, დაწესებულებას შეუძლია გადაგიყვანოთ მკაცრი რეჟიმის ნაწილში, სადაც არის გაძლიერებული მეთვალყურეობა.

შეგიძლიათ გაგზავნოთ და მიიღოთ კორესპონდენცია შეზღუდვების გარეშე.

ამანათის მიღება შეგიძლიათ კვირაში ერთხელ,

მაქსიმუმ 10 კგ.

შეგიძლიათ მიიღოთ ფული შეზღუდვის გარეშე

(თუმცა, უნდა შეინახოთ იგი საცავში). შენახული ფულის გამოტანა შეგიძლიათ კვირაში ერთხელ, 300 ჩეხური კრონის ფარგლებში, საყიდლებისათვის (მაგალითად, პროდუქტებისა და სიგარეტის შესაძენად). საყიდლებში დაგეხმარებათ დაწესებულების თანამშრომელი.

ვიზიტების მიღება შეგიძლიათ კვირაში 4-ჯერ, მაქსიმუმ 1 საათის განმავლობაში.

შეგიძლიათ თავისუფლად გადაადგილება დაკავების ზომიერი რეჟიმის ფარგლებში.

დუგდ-ს დატოვების შემდეგ, თქვენ მიიღებთ დაანგარიშებას,

სადაც ასახულია ის თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოთ დუგდ-ში ბინადრობისთვის. თუკი სასამართლომ თქვენი დაკავება უკანონოდ მიიჩნია, მაშინ თქვენ არ ხართ ვალდებული გადაიხადოთ დუგდ-ში თქვენი ბინადრობის საფასური.

ლტოლვილთა დახმარების ორგანიზაცია – OPU

OPU პრაღა

Poděbradská 5, Praha 9, 190 00
+420 730 158 779, +420 730 158 781
www.opu.cz
opu@opu.cz

OPU ბრნო

Josefská 8, Brno, 602 00
+420 731 448 938, +420 731 928 388
www.opu.cz
opu.brno@opu.cz

OPU ოსტრავა

28. října 81/203, Ostrava 9, 709 00
+420 604 221 035, +420 731 502 661
www.opu.cz
opu.ostrava@opu.cz

OPU პლზენი

Skvrňanská 1111/12, Plzeň, 301 00
+420 604 809 165
www.opu.cz
opu.plzen@opu.cz

OPU ჰრადეც კრალოვე

Nerudova 18/39, Hradec Králové, 500 02
+420 733 278 174
www.opu.cz
opu.hradeckralove@opu.cz

ინტეგრაციისა და მიგრაციის ასოციაცია – SIMI

Havlíčkovo náměstí 2, Praha 3, 130 00
+420 224 224 379
www.migrace.com
poradna@migrace.com